# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკოლოზ კახეთელიძის ანგარიში 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1-ელ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

**(03.12.2021-01.11.2022წ.წ.)**

თბილისი
2022

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნიკოლოზ კახეთელიძე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" წევრი

## ❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თანამდებობაზე ნიკოლოზ კახეთელიძის არჩევის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №11 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ კახეთელიძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისა და გარემოს დაცვის კომისიის ახალი შემადგენლობის განსაზღვრის დღიდან - 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა **შემდეგი სამუშაოები**:

## ➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომები, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები

**საანგარიშო პერიოდში (03.12.2021-01.11.2022წ.წ.) გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 17 სხდომა.**

**კომისიის 17 სხდომაზე განხილულ იქნა 116 საკითხი. მათ შორის, განხილული და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნა მიღებული შემდეგ საკითხებზე:**

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტები (სულ: 25 განკარგულების პროექტი);
- ✓ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები (სულ: 75 დადგენილების პროექტი).

  ***კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც არგუმენტირებული დასაბუთების და/ან სათანადო დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული განცხადებების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;***

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- ✓ „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 დადგენილების პროექტი);

  ***ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში 2022 წლის 7 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების (დაზუსტების) შედეგად (დადგენილება №15-90), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა 104 845 600 ლარით გაიზარდა და შეადგინა 1 559 866 600 ლარი; ასევე, დაფინანსება გაიზარდა ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის შემდეგი მიმართულებით:***

  ***- გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 1 020 000 ლარით (დაფინანსების სრული მოცულობა: 95 212 200 ლარი);***
  ***- დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02)– 23 657 400 ლარით (დაფინანსების სრული მოცულობა: 124 328 600 ლარი);***
  ***- ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 500 000 ლარით (დაფინანსების სრული მოცულობა: 4 986 000 ლარი).***

- ✓ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- ✓ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ✓ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

*აღნიშნული ცვლილებით, გამკაცრდა ხე-ნარგავების უკანონო ჭრის საკითხი. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც მწვანე ნარგავ(ებ)ის უნებართვო ჭრა განხორციელდა, აიკრძალა შენობის განთავსება. ასევე, მშენებლობის პროცესში, მწვანე ნარგავის დაზიანებისას, პასუხისმგებლობა დაეკისრება მშენებლობის ნებართვის მფლობელს.*

*ასევე, გამკაცრდა ექსპერტთა კონტროლი და მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირს არასწორი დასკვნის გაცემის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა. განმეორებით არასწორი დასკვნის გაცემა კი გამოიწვევს ექსპერტის უფლებამოსილების შეჩერებას.*

- ✓ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ელი ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საანგარიშო პერიოდში (**2021 წლის 3 დეკემბერი - 2022 წლის 31 ოქტომბერი**), კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ მომზადდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა 89 სამართლებრივი დასკვნა.

## ➢ კომისიის სხდომის ფორმატში:

✓ *მოსმენილ იქნა:*

- ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამების და პროექტების შესახებ;
- ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების შესახებ;
- ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში;
- შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

✓ **შედგა:**

- სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურებთან;

- შეხვედრა მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და, აგრეთვე, ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან დედაქალაქში ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვისა და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე.

- **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1-ელ ნოემბრამდე განხილული წერილები/განცხადებები**

საანგარიშო პერიოდში **კომისიაში შემოვიდა 514 განცხადება/წერილი, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გათხოვის შესახებ, რომელზეც კომისიამ** შესაბამისი რეაგირება განახორციელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

## ➢ გარემოს დაცვის კომისიის სხვა აქტივობები

### ✓ სამუშაო შეხვედრები:

**09.12.2021წ. - სამუშაო შეხვედრა** შპს „ეკოსერვის ჯგუფისა“ და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცხოველთა მონიტორინგის ხელმძღვანელ პირებთან.

**თემა:**

- „ეკოსერვის ჯგუფის“ მიერ 2021 წელს განხორციელებული სამუშაოები, საქმიანობის სპეციფიკა, დანერგილი სიახლეები და სამომავლო გეგმები.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკა, დანერგილი სიახლეები და სამომავლო გეგმები.

## ✓ სამუშაო შეხვედრები:

- **11.02.2022წ. -** მერიის ინიციატივით გამართული ვერის პარკის საპროექტო სამუშაოების პირველი ეტაპის საჯარო განხილვა.

- **16.02.2022წ. - სამუშაო შეხვედრა** ა(ა)იპ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, ბოტანიკური ბაღის დირექტორთან და თანამშრომლებთან.

*ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორთან ირინე დანელიასა და ბაღის თანამშრომლებთან ერთად საკოლექციო ნაკვეთებისა და ტურისტული მარშრუტების დათვალიერება. არსებული მდგომარეობისა და სამომავლო გეგმების განხილვა.*

- **16.09.2022წ. - ონლაინ შეხვედრა** ცხოველთა დაცვის საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „Mayhew Georgia" დირექტორთან ქეროლაინ იეტსთან.

**თემა:** *ქალაქ თბილისში მიუსაფარი ცხოველების მდგომარეობა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.*

- ✓ **მოქალაქეებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრები:**

კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით (არქიტექტურული/ურბანული საკითხები, ასევე, პარკების, სკვერების, დასასვენებელი სარეკრეაციო სივრცეების, მწვანე ნარგავების სხვლა-ფორმირების, გადაბელვის, გადარგვისა და მოჭრის, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, შინაური, მათ შორის უპატრონო ცხოველების საკითხები) სისტემატური შეხვედრები მოქალაქეებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათი ინიციატივების განხილვისა და ასევე, მათთვის შესაბამისი კონსულტაციებისა თუ დახმარების გაწევის მიზნით.

## ➢ გამწვანება და სარეკრეაციო სივრცეები

**2022 წელს დაგეგმილი და განხორციელებული ქეთევან წამებულის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა და გამწვანების ღონისძიებები ისნის რაიონში**

✓ **მეტეხის ფერდი (ქეთევან წამებულის №32; საკადასტრო კოდი: №01.17.01.125.051)** - ფერდობის რეაბილიტაცია. ტერიტორია მოეწყო ტერასული პრინციპით, ამაღლდა და მოპირკეთდა არსებული ნიადაგის დამჭერი კედლები. მოეწყო განათების სისტემა. აღნიშნულ სკვერში ჩატარდა გამწვანებისთვის ყველა საჭირო ღონისძიება: ტერიტორიაზე შეტანილ იქნა მიწის ნოყიერი ნაზავი, დაირგო სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი, მოეწყო სარწყავი სისტემა და ბალახის საფარი.



✓ ერევნის სკვერი (**ქეთევან წამებულის გამზირი; საკადასტრო კოდი №01.17.01.010.044)** - სკვერის რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე განახლდა საფეხმავლო ბილიკები, განთავსდა საპარკე ინვენტარი. მოეწყო გარე განათების სისტემა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. სკვერში ჩატარდა გამწვანებისთვის ყველა საჭირო ღონისძიება: ტერიტორიაზე შეტანილ იქნა მიწის ნოყიერი ნაზავი, დაირგო სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი, მოეწყო სარწყავი სისტემა და ბალახის საფარი.





- ✓ **ფარნავაზის სკვერი (ევროპის მოედანზე, ღვინისა და მეტეხის აღმ. არსებული სკვერი)** - სკვერის რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე განახლდა საფეხმავლო ბილიკები, განთავსდა საპარკე ინვენტარი, მოეწყო გარე განათების სისტემა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. სკვერში ჩატარდა გამწვანებისთვის ყველა საჭირო ღონისძიება: ტერიტორიაზე შეტანილ იქნა მიწის ნოყიერი ნაზავი, დაირგო სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი, მოეწყო სარწყავი სისტემა და ბალახის საფარი.







თბილისი
2022

## 2022 წელს აღდგენილი შიდასაუბნო სკვერები ისნის რაიონში

- ✓ ბერი გაბრიელ სალოსის მე-4 შესახვევი კორპუსი №4
- ✓ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი № 49
- ✓ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი № 147
- ✓ ვაზისუბნის IV მ/რ III კვ. კორპუსი № 3-ის მიმდებარედ
- ✓ ვაზისუბნის IV მ/რ III კვ. კორპუსი № 6-ის მიმდებარედ
- ✓ ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორპუსი № 11-ის მიმდებარედ
- ✓ ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორპუსი № 21-ის მიმდებარედ

## ➢ მასმედიასთან ურთიერთობა

***ტელე-რადიო გადაცემებში მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე დედაქალაქში განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით საუბრები შემდეგ თემებზე:***

- ✓ დედაქალაქში არსებული გეოდინამიკური საფრთხეების შემცველი არეალები;
- ✓ ურბანული განაშენიანება;
- ✓ დედაქალაქში მწვანე ნარგავების მდგომარეობა, ხე-მცენარეების მოჭრა, გადარგვა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა;
- ✓ პარკები, სკვერები და სხვა დასასვენებელი სარეკრეაციო სივრცეები.

## ❖ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი

- ✓ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1-ლ ნოემბრამდე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე დასწრების რაოდენობა: 18;
- ✓ შესწავლილი საკითხების რაოდენობა: 334.

## ❖ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი

2021 წლის წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1-ელ ნოემბრამდე ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა: - 19, განხილული საკითხების რაოდენობა: - 35.

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

- ✓ **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1-ელ ნოემბრამდე** საკრებულოს სხდომებზე დასწრების რაოდენობა - 15.
- ✓ შესწავლილი და განხილული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა - 113 დადგენილება და 649 განკარგულება.

## ❖ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს” წევრი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის მთავარი მიზანია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა.

2021 წლის წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1-ელ ნოემბრამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომაზე დასწრების რაოდენობა: - 1,

განხილული საკითხების რაოდენობა: - 1.

# მადლობა ყურადღებისთვის

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ კახეთელიძე

საქართველო, თბილისი 0105,
თავისუფლების მოედანი 2
www.tbsakrebulo.gov.ge